პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება

განხორციელების ვადა: 28.06.2021 - 27.12.2024

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 3 698 750

მთლიანი ბიუჯეტი: € 3 698 750

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

GDSI Limited (Ireland) in consortium with Altair Asesores S.L. (Spain), Office for European Expertise and Communications (Belarus), Innovative Education

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

facebook.com/EaPCivilSociety,
https://twitter.com/EaPCivilSociety,
www.linkedin.com/company/eap-civil-society-facility,
https://t.me/EaPCivilSociety,

პროექტის ვებსაიტები: eapcivilsociety.eu/

პროექტის აღწერა:

„აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“ (Eastern Partnership Civil Society Facility) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტია, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ექვს ქვეყანაში, რათა განავითაროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და აქტივისტების როლი და შესაძლებლობები. მოცემული ექვსი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და აქტივისტებს, პროექტი სთავაზობს შემდეგს:
- საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული შესაძლებლობები სამოქალაქო საზოგადოებისთვის;
- სამოქალაქო საზოგადოების ყოველწლიური ჰაკათონი (Civil Society Hackathon) ახალი იდეების და ინსტრუმენტების განვითარების მიზნით, რათა გაუმჯობესდეს გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და თანამონაწილეობა;
- სამოქალაქო საზოგადოების სტიპენდია (Civil Society Fellowships), რათა მხარი დაუჭიროს რეგიონში 120 სამოქალაქო აქტივისტს და ახალგაზრდა პროფესიონალს;
- რეგიონული თანამშრომლობა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობა შესაბამის რეგიონულ და საერთაშორისო ღონისძიებებში;
- ქსელური თანამშრომლობის ხელშეწყობა და შესაბამისი ინიციატივების ad hoc მხარდაჭერა;
- საკომუნიკაციო აქტივობები, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხილვადობის გაზრდას და ევროკავშირის მიერ მათი მხარდაჭერის წარმოჩენას;
- სამოქალაქო საზოგადოების შესახებ კვლევების და ანალიზის ჩატარება ევროკავშირის მოთხოვნის მიხედვით.

მოსალოდნელი შედეგები:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა ჩაერთონ პოლიტიკის ფორმირების პროცესსა თუ პოლიტიკურ დიალოგში, მხარი დაუჭირონ რეფორმების გატარებას და საჯარო ანგარიშვალდებულებას, გააძლიერონ დემოკრატია ადგილობრივ დონეზე და ჩართონ მოქალაქეები საჯარო დებატებში;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობის ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გაუმჯობესება;
- სამოქალაქო საზოგადოების როლის და საჯარო ხილვადობის გაზრდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში;
- პარტნიორ ქვეყნებში არსებული სამოქალაქო ორგანიზაციების უკეთესად გაცნობა და მათი გამოწვევების გაგება ევროკომისიის მიერ, რათა მიზნობრივად მოხდეს ევროკავშირის სამომავლო პროგრამების დაფინანსება;
- ევროკავშირის მიერ სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის უკეთესად და თანმიმდევრულად წარმოჩენა.